



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

საქართველოში “მზის ბუნებრივი მაცივრის”
სტრუქტურის
შესწავლა და მისი ხელოვნურად შექმნის
დასკვნითი სამეცნიერო ანგარიში

თბილისი
2012

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის
ინსტიტუტი

შ0340 № IHM-12-05-GTU-2422

ვამტკიცებ

დირექტორი, მეცნიერებათა აკადემიური
დოქტორი

თ. ცინცაძე
25 დეკემბერი 2012წ.

საქართველოში “მზის ბუნებრივი მაცივრის” სტრუქტურის
შესწავლა და მისი ხელოვნურად შექმნის
შესაძლებლობის დადგენა

(დასკვნითი ანგარიში)

პმი-ს სამეცნიერო საბჭოს
თავმჯდომარე, ფიზ.-მათ. მეცნ.
დოქტორი

ნ. ბეგალიშვილი

პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი,
ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი

პ.თავართქილაძე

თბილისი
2012

შემსრულებლები

სამეცნიერო ხელმძღვანელი
მთავარი მეცნ. თანამშრომელი
ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი

პ. თავართქილაძე

პასუხისმგებელი შემსრულებლები

წყლის რესურსებისა და ჰიდროლოგიური
პროგნოზირების განყოფილების გამგე,
ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი

ნ.ბეგალიშვილი

მთავარი მეცნიერი თანამშრომელი,
ტექნიკის მეცნიერებათა აკადემიური
დოქტორი

თ.ცინცაძე

შემსრულებლები

დირექტორის მოადგილე

გ.ჭილაძე

მეცნიერი თანამშრომელი

ნ.კობახიძე

ინჟინერი

ნ.გოგიძერიძე

რ ე ფ ე რ ა ტ ი

ანგარიში 20 გვ., ნახაზი 2, ცხრილი 1.

საკვანძო სიტყვები:

ბუნების ფენომენი, “მზის ბუნებრივი მაცივარი”, ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები, მათემატიკური მოდელი, “წყალი – ატმოსფეროს” საზღვარი, ტურბულენტური სითბოგაცვლა და ტენბრუნვა, ატმოსფერული პარამეტრები, ყინულის გაჩენის დრო, ყინულის ფენის სისქე, დამოკიდებულების ანალიზური გამოსახულება.

დიდი ქართველი მკვლევარი ვახუშტი ბატონიშვილი ჯერ კიდევ 300 წლის წინად წერდა ბუნების საოცარ მოვლენაზე – ზაფხულის ცხელი დღეების პირობებში, ქსნის ხეობაში, წარმოიქმნება ყინულის ზოდები, რომლებსაც ლაშქრობის დროს ქართული ჯარი საკვები პროდუქტების შესანახად იყენებდა. შემდგომში მსგავსი აღგილები საქართველოს სხვა რეგიონებშიც აღმოჩნდა და ისინი აღწერილია გამოქვეყნებულ ლიტერატურულ წყაროებში. ერთ-ერთ სამეცნიერო ნაშრომში მოცემულია საქართველოს რუკა, რომელზედაც ყვალა ნაპოვნი ასეთი აღგილებია ნაჩვენები (კ.ხარაძე, 2001).

მიუხედავად რიგი მცდელობებისა ეს მოვლენა სრულიად შეუსწავლელია. მისი მეცნიერული ახსნა და თეორიის ჩამოყალიბება მოვლენის ხელოვნური შექმნის საშუალებას შექმნიდა, რაც უდიდეს სარგებლობას მოუტანდა საქართველოს მოსახლეობას.

რადგან აღნიშნულ მოვლენას ქმნიან მთიან პირობებში მიმდინარე პროცესები, დაკავშირებული მზესთან, მზის რადიაციასთან, აორთქლების შედეგად წყლის ტემპერატურის შემცირებასთან მთა-ხეობის ქარის მოქმედების ფონზე, ამ მოვლენას “მზის ბუნებრივი მაცივარი” (მბმ) ვუწოდეთ.

დადგენილია ის ფიზიკურ-გეოგრაფიული და ატმოსფერული პირობები, რომლებიც მაქსიმალურად შეუწყობენ ხელს ზაფხულის ცხელ, მზიან, უდრუბლო და ქარიან ამინდში ზოგიერთი ხეობის ძირში ყინულის ფენის წარმოქმნას და ზრდას.

აგებულია მბმ-ის მათემატიკური მოდელი, რომელსაც საფუძვლად დაედო “წყალი-ატმოსფეროს” საზღვარზე მიმდინარე ტურბულენტური სითბოგაცვლისა და ტენბრუნვის პროცესები მუდმივი მთა-ხეობის ქარის ფონზე. მიღებულია ანალიზური გამოსახულება, რომელიც აკავშირებს ყინულის ფენის გაჩენის დროს და მის სისქეს ატმოსფერულ პარამეტრებთან. ტიპიური მთა-ხეობის პერობებისათვის შეფასებულია ყინულის ფორმირების და ზრდის დრო, რომელიც იცვლება რამდენიმე დღედამიდან თვეენახევრამდე. ანალიზური გამოსახულების სიზუსტის დასადგენად შესაძლებელია მისი ექსპერიმენტული გამოცდა ბუნებრივ პირობებში მბმ-ის არსებობის აღგილებში, ასევე ლაბორატორიული ცდების ჩატარების საფუძველზე. მომავალში ასეთი ექსპერიმენტული კვლევა მბმ-ის ხელოვნურად შექმნის საშუალებას მოგვცემს.

შ ი ნ ა ა რ ს ი

	გვ.
1. შესავალი. ამოცანის დასმა	5
2. “მზის ბუნებრივი მაცივრის” (მბმ) ფიზიკურ-გეოგრაფიული მოდელი (მოვლენის ფორმირების პირობები)	7
3. “მზის ბუნებრივი მაცივრის” მათემატიკური მოდელი	9
4. გამოთვლის შედეგები	12
5. დასკვნა	15
ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა	16

**საქართველოში “მზის ბუნებრივი მაცივრის” სტრუქტურის
შესწავლა და მისი ხელოვნურად შექმნის
შესაძლებლობის დადგენა**


1.შესაფალი. ამოცანის დასმა.

დიდი ქართველი მკვლევარი ვახუშტი ბატონიშვილი ჯერ კიდევ 300 წლის წინად წერდა ბუნების საოცარ მოვლენაზე – ზაფხულის ცხელი დღეების დროს, ქსნის სეობაში, წარმოიქმნება ყინულის ზოდები, რომლებსაც ლაშქრობის დროს ქართული ჯარი საკვები პროდუქტების შესანახად იყენებდა [1]. შემდგომში მსგავსი ადგილები საქართველოს სხვა რეგიონებშიც აღმოჩნდა და ისინი აღწერილია გამოქვეყნებულ ლიტერატურულ წყაროებში [2-4]. ხოლო ნაშრომში [5] მოცემულია საქართველოს რუკა, რომელზედაც ყველა ნაპოვნი ასეთი ადგილებია ნაჩვენები (იხ.ნახ.1).

მიუხედავად რიგი მცდელობებისა ამ საოცარი ბუნებრივი მოვლენის პროცესი სრულიად შეუსწავლელია. ამ პროცესის მეცნიერული ახსნა და თეორიის ჩამოყალიბება მისი ხელოვნური შექმნის საშუალებას შექმნიდა, რაც უდიდეს სარგებლობას მოუტანდა, ყოველ შემთხვევაში საქართველოს მოსახლეობას. შესაძლებელი გახდებოდა ზაფხულის ცხელი დღეების პირობებში დიდი მოცულობის იაფი ბუნებრივი მაცივრების შექმნა.

რადგან პროცესის ძირითადი წყარო მზეა, მას ჩვენ “მზის ბუნებრივი მაცივარი” (მბმ) ვუწოდეთ [6] და შემდეგში მას ასეთი სახელწოდებით მოვიხსენიებთ.

წინამდებარე (პროექტის) ანგარიშის მიზანს შეადგენს მბმ-ის ფიზიკურ-გეოგრაფიული და მათემატიკური მოდელების შექმნა და მათი დასაბუთების ექსპერიმენტული გზების დადგენა.



նաև.1. ձեղնեթրօզո սազոնալացիոն աջգուղքեած սայարտացում (Ա5-օւ մոեցածու)։

2. “მზის ბუნებრივი მაცივრის” (მბმ) ფიზიკურ-გეოგრაფიული მოდელი (მოვლენის ფორმირების პირობები).

ცნობილია, რომ დუღილის წერტილამდე მიყვანილი წყლის მასა რომ იმავე ტემპერატურის მქონე წყლის ორთქლად ვაქციოთ, მას გარკვეული რაოდენობის ენერგია უყნდა მიგაწოდოთ. ეს ენერგია წყლის მოლექულების ურთიერთ კავშირის შესასუსტებლად იხარჯება და ფიზიკაში იგი “ფარული სითბოს” სახელწოდებითაა ცნობილი. იგივე რაოდენობის ენერგია გამოიყოფა შებრუნებული პროცესის დროს, ანუ როცა წყლის ორთქლის კონდენსაცია ხდება. ეს პროცესი უდევს საფუძვლად მზის მაცივრის არსებობას.

ნებისმიერი ტემპერატურის დროს წყლის მასაში ყოველთვის არის მოლექულები, რომლებიც რიგი პროცესების გამო იძენენ იმდენ ენერგიას, რომ თუ ისინი ზედაპირულ აფსკონ ახლოს იმყოფებიან შეუძლიათ გადალახონ აფსკის წინააღმდეგობა და სითხის მასის გარეთ აღმოჩნდნენ. ე.ი. შეიცვალონ აგრეგატიული მდგომარეობა და წყლის ორთქლად იქცნენ. ეს პროცესი გარკვეულ ენერგიას ართმევს წყლის მასას და ამცირებს მის ტემპერატურას. ამიტომ წყლის მასის ზედაპირულ აფსკონ ყოველთვის არის წყლის ორთქლის მოლექულების ჭარბი რაოდენობა. ეს კი იწვევს წყლის ორთქლის მოლექულების საკმაოდ ინტენსიურ უკან დაბრუნებას წყლის მასაში და ტემპერატურის დაცემის პროცესს საგრძნობლად ამცირებს. თუ წყლის აფსკონ დაგროვილ წყლის ორთქლის მოლექულებს სისტემატურად მოვაჭორებთ (ამას აკეთებს ქარი), წყლის მასის ტემპერატურის დაცემა ინტენსიური გახდება. იმდენად ინტენსიური, რომ თუ წყლის მასას გარედან სითბო არ მიეწოდება მისი ტემპერატურა 0°C -ზე დაბლა დაეცემა.

შეგეცადოთ შეკმნათ თეორიულად ისეთი გეოგრაფიული გარემო, რომელიც დუნებრივ პირობებში მაქსიმალურად შეუწყობს ხელს აღწერილ პროცესს.

უპირველეს ყოვლისა გეოგრაფიული გარემო უნდა უზრუნველყოფდეს საკმაოდ ძლიერ მიწისპირულ ქარს ისე, რომ წყლის ორთქლით გაჟღენთილი ატმოსფერული მასების შემოტანა გარედან არ ხდებოდეს. ამას როგორც წესი ცხელ ამინდში აკეთებს ე.წ. მთა-ბარის ცირკულაცია. აღვწეროთ ეს პროცესი დაწვრილებით.

ქარის წარმომქმნელი წნევათა სხვაობა, შედარებით მცირე ტერიტორიაზე, მხოლოდ ხეობის პირობებში შეიძლება შეიქმნას. ხეობის ოპტიმალური მიმართულება მზის წარმოსახვითი მოძრაობის პარალელური ანუ აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიმართულებას უნდა ემთხვევოდეს. ხეობის სამხრეთი ფერდობის დახრილობა 30° -ის ფარგლებში უნდა იყოს. ასეთ დახრილობაზე ზაფხულში მზის

მაქსიმალური ენერგია ეცემა. ამ ენერგიის შთანთქმის სიდიდე ქვეფენილი ზედაპირის ალბედოზეა დამოკიდებული. რამდენადაც ალბედო მცირება მით მეტ ენერგიას შთანთქავს ზედაპირი (ასეთი ზედაპირია მაგალითად შავმიწა ნიადაგის ხელი), მისი ტემპერატურა იზრდება და აძლიერებს შემხები ატმოსფერული მასების გაფართოებას და აღმავალ დინებას. ჩრდილოეთი ფერდობი პირიქით, მინიმალურ ენერგიას უნდა დებულობდეს, რომ მისი ტემპერატურა დაბალი იყოს (მაგალითად ვერტიკალურ მიმართულებას მიახლოებული ქვა-დორდიანი ზედაპირი). ზაფხულის პირობებში ასეთ სეობაში მოწმენდილი ცის დროს ინტესიური ადგილობრივი ცირკულაციური პროცესი იარსებებს და ძლიერი მიწისპირული ქარი მთელი დღის განმავლობაში იქროლებს.

თუ ჩრდილოეთის ფერდობი ნაყარ ლოდებს შეადგენს და დამით ცა მოწმენდილი იქნება, ამ ქვაფენილის მკვეთრი გაცივება მოხდება. ეს კი ინტენსიურს გახდის დღისით ცხელი ჰაერის ცივ ქვებთან შეხების შედეგად წყლის წვეთების წარმოქმნას და ნაყარი ლოდების ძირში წყლის დაგროვებას. შემდეგ, დღის განმავლობაში ქარის გამო, აორთქლების შედეგად, წყლის ტემპერატურა შეიძლება 0-ს ქვევით დაეცეს. ამ მოვლენის ფორმირებას ხელს შეუწყობს ხეობაში გამდინარე წყლის არსებობა – ღელე, მდინარე, რომელთა ქვებს შორის ყურეებში წყალი დგება დიდი ხნის განმავლობაში და ატმოსფეროსთან მისი სითბოს გაცვლის პროცესის ინტენსივობა მეტად სუსტია.

ამრიგად, მზის მაცივრის ოპტიმალური ფიზიკურ-გეოგრაფიული მოდელი შემდეგი სახით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

1. საქართველოში მზის მაცივარი შეიძლება შეიქმნას ზაფხულის პერიოდში;
2. მზის მაცივრის შესაქმნელად საჭიროა რამდენიმე დღისა და ღამის განმავლობაში ცის თაღი ძირითადად იყოს მიწმენდილი;
3. მზის მაცივარი შეიძლება შეიქმნას ხეობაში, რომლის მიმართულებაა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ;
4. ხეობის სამხრეთი ფერდობის დახრილობა ახლოს უნდა იყოს 30°-თან;
5. ხეობის სამხრეთი ფერდობის ქვეფენილი ზედაპირის ალბედო უნდა იყოს მინიმალური;
6. ხეობის ჩრდილოეთი ფერდობის დახრილობა ახლოს უნდა იყოს ვერტიკალურ მიმართულებასთან;
7. ხეობის ჩრდილოეთი ფერდობის ზედაპირი ქვა-დორდითა და ლოდებით უნდა იყოს დაფარული;

8. ქვა-ლორდებისა და ლოდების ძირი ანუ ზედაპირი, სადაც არსებობს ბუნებრივი წყალი ან ხდება წყლის კონდესაცია და ყინული წარმოიქმნება, უნდა იყოს ცუდი სითბოგამტარი.

ნახ.2-ზე მოცემულია გზმ-ის ფორმირების ხელშემწყობი პროცესების ფიზიკურ-გეოგრაფიული მოდელის სქემა.

3. “შზის ბუნებრივი მაცივრის” მათემატიკური მოდელი

დაგუშვათ, სითბოგაუმტარ ჭურჭელში მოთავსებულია რაიმე რაოდენობის წყლის მასა, რომლის ზედაპირის ფართობია S და სიღრმე h . აღნიშნული წყლის რაოდენობა ჭურჭლითურთ მოთავსებულია ზემოთ აღწერილი ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების მქონე გარემოში (ქვა-ლორდებით და ლოდებით დაფარული ხეობის ჩრდილოეთი ფერდობის ძირში). განვიხილოთ ამ წყლის მასის მიერ მიღებული და გაცემული ენერგიების თანაფარდობა. წყლის ზედაპირის მიერ ატმოსფეროდან მიღებული და გაცემული სითბოს თანაფარდობა ასე შეიძლება გამოვსახოთ:

$$Q = -k p \left[L \frac{dq}{dz} + c_p \frac{dt}{dz} \right], \quad (1)$$

სადაც dq/dz და dt/dz შესაბამისად ხვედრითი სინოტივის და ტემპერატურის გრადიენტებია; L – ორთქლად წარმოქმნის სითბოა; c_p , p და k – მიწისპირული ჰაერის სითბოტევადობა, სიმკვრივე და ტურბულენტური გაცვლის კოეფიციენტია.


ფორმულის (1) პირველი წევრი ახასიათებს აორთქლების დროს წყლის გაცივების ინტენსიურობას, ხოლო მეორე წევრი ატმოსფეროდან მიღებულ ტურბულენტურ სითბოს ნაკადს.

S ფართის წყლის ზედაპირიდან τ დროის განმავლობაში გაცემული სითბოს რაოდენობა იქნება $Q S \tau$.


ენერგია, რომელსაც დაკარგავს წყალი, რომლის ზედაპირის ფართობია S და სიღრმე h , ტემპერატურის Δt გრადუსით შემცირებისას შეადგენს სიდიდეს $c_B (S h p_B) \Delta t$, სადაც c_B და p_B – წყლის სითბოტევადობა და სიმკვრივეა.

ყინულის ფენის გაჩენის შემდეგ ენერგიის დანაკარგმა უნდა შეადგინოს $B (S dL pL)$, სადაც B – დნობის ყინულწარმოქმნის სითბოა; dL და pL - ყინულის სისქე და სიმკვრივეა.

(ა) ხეობის საერთო ხედი



(ბ) ხეობის ვერტიკალური ჭრილი



მინიმალური ალბედო

ნახ.2. “მზის ბუნებრივი მაცივრის” ხელშემწყობი ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების სქემა

წყალი-ატმოსფეროს გამაცივებელი სისტემის დინამიკური წონასწორობა დამყარდება სითბური ბალანსის შემდეგ პირობებში:

$$Q S \tau = c_B (S h p_B) \Delta t + B (S d_L p_L), \quad (2)$$

რომელიც მარტივი გარდაქმნების შემდეგ და $p_B \approx p_L$ ტოლობის გათვალისწინებით შეიძლება ასე ჩაიწეროს:

$$k \frac{p}{p_B} \left[c_p \frac{dt}{dz} + L \frac{dq}{dz} \right] \frac{\tau}{B} + \frac{c_B}{B} h \Delta t + d_L = 0 \quad (3)$$

ამრიგად, მივიღეთ ყინულის სისქის d_L დამოკიდებულება მისი წარმოქმნის დროსთან τ , თუ ვიცით მიწისპირა ჰაერში ტემპერატურის და სინოტივის გრადიენტები, და ტურბულენტური გაცვლის კოეფიციენტი. ფორმულა (3)-ის სიზუსტე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდებად ახლოსაა გარემოს რელიეფი და სტრუქტურა ზემოაღნიშნულ ოპტიმალურ ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებთან.

მე(3)-ე ფორმულას გამოყენების თვალსაზრისით შეიძლება მივცეთ უფრო მარტივი სახე თუ გავითვალისწინებთ q და k კავშირს ფარდობით სინოტივესა f და ქარის სიჩქარეს ა შორის, რომლებიც მეტეოროლოგიურ ქსელში ოპერატორულად იზომებიან. ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით [7] ტურბულენტური გაცვლის კოეფიციენტი (განზომილებით $\theta^2 / \nabla \theta$) ასე განისაზღვრება:

$$k = 5 \cdot 10^{-2} u z, \quad (4)$$

სადაც ა ქარის სიჩქარეა ($\theta / \nabla \theta$) z (θ) სიმაღლეზე ზედაპირიდან. რაც შეეხება ხვედრით სინოტივეს, თუ წყლის ორთქლის ნაჯერი დრეკადობაა E , იგი შეიძლება ასე განისაზღვროს [8]:

$$q = \frac{0.217e}{T} = \frac{217 \cdot 10^{-5} f E}{273 + t}. \quad (5)$$

მე(4)-ე და მე(5)-ე ფორმულებთან ერთად თუ გავითვალისწინებთ ნორმალურ პირობებში ფიზიკური პარამეტრების მნიშვნელობებს ($c_B = 4.2 \cdot 10^3$ კგ \cdot მ $^{-1}$ K $^{-1}$; $c_p = 10^3$ კგ \cdot მ $^{-1}$ K $^{-1}$; $L = 2260 \cdot 10^3$ კგ \cdot მ $^{-1}$; $B = 336 \cdot 10^3$ კგ \cdot მ $^{-1}$; $p = 1$ კგ მ $^{-3}$; $p_B = 10^3$ კგ მ $^{-3}$) მივიღებთ შემდეგ გამოსახულებას:

$$1.5 \times 10^{-7} u z \left[\frac{d t}{d z} + 2 \times 10^{-2} E \frac{d f}{d z} \right] \tau + 1.25 \times 10^{-2} h \Delta t + d_L = 0. \quad (6)$$

4. გამოთვლის შედეგები.

მოდელის პირველი მიახლოვება.

(6)-ში წარმოდგენილი წარმოებულების ნაცვლად გადავიდეთ მათ სასრულ სხვაობებზე, როცა ტემპერატურისა და სინოტივის მნიშვნელობები განისაზღვრება $Z=1$ მ სიმაღლეზე წყლის ზედაპირის მიმართ. გარდა ამისა ჩავთვალოთ, რომ წყლის ორთქლის და სითბოს ნაკადები არ იცვლებიან სიმაღლის მიხედვით. გავითვალისწინოდ, ასევე, სითბოს დანაკარგები, რისთვისაც შემოვიტანოდ ბუნებრივი მაცივრის მარგი ქმედების კოეფიციენტი η (ჩავთვალოთ, რომ $\eta = 0.1$). მაშინ (6) შეიძლება ჩავწეროთ შემდეგი სახით:

$$1.5 \times 10^{-7} u \left[\left(\frac{f_1 - f_0}{100} \right) + 2E \left(\frac{f_1 - f_0}{100} \right) \right] \eta \tau + 1.25 \times 10^{-2} h \Delta t + d_L = 0.$$

მიღებულ თანაფარდობაში შევიტანოთ პარამეტრების შემდეგი მნიშვნელობები: $t_0 = 0^\circ\text{C}$, $t_1 = t$, $f_1 = f$, $f_0 = 100\%$ (რადგან უშუალოდ წყლის ზედაპირთან წყლის ორთქლი ნაჯერ მდგომარეობაშია), $\eta = 0.1$. მივიღებთ შემდეგ თანაფარდობას:

$$1.5 \times 10^{-7} u \left[t + 2E \left(\frac{f - 100}{100} \right) \right] 0.1 \tau + 1.25 \times 10^{-2} h \Delta T + d_L = 0. \quad (7)$$

(7)-დან გამომდინარეობს პარამეტრების ტემპერატურისათვის აუცილებელი პირობა:

$$\begin{aligned} & t + 2E \left(\frac{f - 100}{100} \right) < 0 \quad \text{ან} \\ & t < 2E \left(1 - \frac{f}{100} \right). \end{aligned} \quad (8)$$

თუ $f = 50\%$ და $E \approx 6$ მბ, მაშინ $t < 6^{\circ}\text{C}$. ამრიგად, წყლის გაცივებისათვის პაერის ნაკადის ტემპერატურა უნდა იყოს არაუმეტეს 5-6 $^{\circ}\text{C}$. ასეთი რეჟიმი ბუნებრივია მთა-ხეობის ქარებისათვის. მათი სიჩქარის ამპლიტუდა აღწევს ათეულ მ/წმ. დღისით ხეობაში შემოდის მშრალი და ცივი პაერის ნაკადი მყინვარიდან. მისი სისქე იზომება მეტრობით. პაერის ტემპერატურა სიმაღლის მიხედვით იზრდება. მზიან ამინდში ასეთი პირობები აღიქმება როგორც თბილი ამინდი. წყალი ხეობის ძირში მყინვარული წარმოშობისაა. ნაკადი ხეობაში იშლება, კარგავს სიჩქარეს და წარმოქმნის მდგარი წყლის გუბეებს ქვებს და ლოდებს შორის. მთაში, გაიშვიათებული ატმოსფეროს პირობებში აოროკლების როლი წყლის გაცივებაში იზრდება. წარმოქმნილი ყინული დამე არ დნება რადიაციული გაცივების გამო, რასაც ხელს უწყობს მისი ზედაპირის ეფექტური სითბური გამოსხივება. დღისით ჩრდილში ყინული დნება ძალიან სუსტად, რადგან მის ზედაპირს გააჩნია მაღალი ამრეკვლადი თვისება მზის გაბნეული სინათლის მიმართ.

ცხრ. 1-ში მოცემულია (7) თანაფარდობის გამოყენებით მიღებული ყინულის გაჩენის დროების შეფასებები, მეტეოროლოგიური პარამეტრებისა და ყინულის ფენის სისქის სხვადასხვა მნიშვნელობებისათვის, დღის და დამის პირობებში.

ცხრილი 1.

მოდელის პირველ მიახლოვებაში მიღებული გამოთვლის შედეგები

ვარი- ანტი №	პირო- ბები	ტემპერატურა ${}^{\circ}\text{C}$			$\Delta t = t_1 - t_0$	ფარდო- ბითი სი- ნოტივა $f, \%$	წყლის ფენის სისქე $d, \text{სმ}$	ყინუ- ლის ფენის სისქე $d_n, \text{სმ}$	ქარის სიჩქა- რე $u, \text{მ}/\text{წმ}$	ყინუ- ლის გაჩენის დრო $\tau, \text{დღე-}$ დამე
		პაერის T_1	წყლის t_0							
1	დღის	3	0	3	50	10	1	3	0.7	
2	“--”	5	0	5	50	10	1	3	2	
3	“--”	5	0	5	50	10	1	1.5	4	
4	“--”	5	0	5	50	10	1	3	3.5	
5	“--”	5	0	5	50	10	1	5	2.1	
6	ღამის	-5	0	0	80	10	1	1	1	
7	“--”	-5	0	0	80	10	3	1	2.7	
8	“--”	-5	0	0	50	10	1	3	0.2	

თუ გავითვალისწინებთ, რომ ცხრ.1-ში განხილული მაგალითები ახლოს არიან ბენებრივ პირობებთან, შეიძლება დავასკვნად: პირველ მიახლოვებაში ყინულის გაჩენის დრო შეიძლება შეადგენდეს რამდენიმე დღე-დამეს.

მოდელის მეორე მიახლოვება

მე(3) თანაფარდობიდან კლებულობთ ყინულის გაჩენის დროსათვის:

$$\tau = \frac{C_B h \Delta t + B d_A}{-K \frac{\rho}{\rho_B} \left[C_p \frac{dt}{dz} + L \frac{d}{dz} \left(0.622 \frac{e}{p} \right) \right]}, \quad (9)$$

აქ გათვალისწინებულია ხვედრითი ტენიანობის შევცვლა შემდეგი გამოსახულებით

$$q=0.622 \text{ e/p}, \quad (10)$$

სადაც e – წყლის ორთქლის პარციალური წნევაა (მბ ან ჰპა), ხოლო p – ატმოსფერული წნევა (ასევე მბ ან ჰპა). ორივე ეს სტაბილური პარამეტრი კარგად განისაზღვრება სტანდარტული გაზომვების დროს. თუ გავითვალისწინებთ, რომ

$$\frac{d}{dz} \left(\frac{e}{p} \right) = \frac{1}{p} \frac{de}{dz} - \frac{e}{p^2} \frac{dp}{dz}, \quad (11)$$

სადაც, [7,8] მიხედვით და [9]-ში მოცემული ფორმულის საფუძველზე პარციალური წნევის და ატმოსფერული წნევის გრადიენტებისათვის გვექნება:

$$\frac{de}{dz} = \frac{d}{dz} (13.9 - 4.7 \times z) = -4.7 \text{ მბ/მ} \quad (12)$$

$$\frac{dp}{dz} = \frac{d}{dz} \left[P_0 \left(\frac{t_0 - \gamma z}{t_0} \right)^{\frac{g}{R_c Y}} \right] = \frac{P_0 (-\gamma)}{t_0^{\frac{g}{R_c Y}}} (t_0 - \gamma z)^{\frac{g}{R_c Y} - 1} \quad (13)$$

აქ ზღვის დონეზე $P_0=101.3 \times 10^3 \text{ მბ}$, $t_0 \approx 300^\circ \text{K}=27^\circ \text{C}$;

$\gamma=6.5^\circ \text{C}/\text{მბ}$, $g=9.8 \text{ მ/მ}^2$, $R_c=287 \text{ მ}^2/\text{მ}^2 \text{K}$, $Z=1 \text{ მ}$, $h=10 \text{ სმ}$, $d_\pi=1 \text{ სმ}$, $u=5 \text{ მ/მ}^2$; მაშინ (9)-(13) გამოსახულებებიდან კლებულობთ – ყინულის გაჩენის დრო დღის პირობებში გოლია

$$\tau \approx 45.5 \text{ დღე-დამე} \approx 1.5 \text{ თვე, თუ } \Delta t=20^\circ \quad \text{და}$$

$$\tau \approx 500 \approx 21 \text{ დღე-რამე, } \quad \text{თუ } \Delta t=5^\circ;$$

დამის პირობებში $\tau \approx 11.5 \text{ დღე-დამე}$.

ამრიგად, მოდელის მეორე მიახლოვებაში ხეობის ძირში ყინულის გაჩენის დრო ზღვის დონიდან 1 მ სიმაღლეზე იცვლება დაახლოებით 10-დან 45 დღე-დამემდე.

დ ა ს პ გ ნ ა

ამრიგად, განხილულია ის ფიზიკურ-გეოგრაფიული და ატმოსფერული პირობები, რომლებიც მაქსიმალურად უწყობენ ხელს მთა-ხეობის პირობებში ზაფხულის ცხელ, მზიან და ქარიან ამინდში ხეობის ძირში ყინულის ფენის წარმოქმნას და ზრდას. აგებულია ამ ფენომენის – ‘მზის ბუნებრივი მაცივრის’ (მბმ) მათემატიკური მოდელი. მიღებულია ანალიზური გამოსახულება, რომელიც აკავშირებს ყინულის ფენის გაჩენის დროს და მის სისქეს ატმოსფერულ პარამეტრებთან.

აღნიშნული მოვლენა ყალიბდება მთა-ხეობის ქარის ფონზე, როდესაც ხეობის ძირში მყინვარული წარმოშობის ნაკადის “წყალი-ატმოსფეროს” საზღვარზე სითბოს და ტენის ტურბულენტური გაცვლის შედეგად დაიკვირვება წყლის ტემპერატურის დაცემა 0°C -მდე. პროცესების შემდგომი მოქმედება იწვევს გაჩენილი ყინულის ფენის სისქის ზრდას.

მთა-ხეობის ტიპიური პირობებისათვის შეფასებულია ყინულის ფორმირების და ზრდის დრო, რომელიც იცვლება რამდენიმე დღე-ლამიდან თვენახევრამდე.

ბუნებრივ პირობებში მბმ-ის არსებობის ადგილებში ეპიზოდურმა საექსპედიციო გასვლებმა არ მოგვცა მოდელის ექსპერიმენტული შემოწმების საშუალება. ამისათვის საჭიროა რეგულარული დაკვირვებების ჩატარება არანაკლებ ერთი თვის განმავლობაში.

მომავალში კვლევა უნდა გაგრძელდეს სამი მიმართულებით:

- შესაძლებელია აიგოს მბმ-ის უფრო ზუსტი მოდელი.
- თეორიული კვლევის შედეგები უნდა შემოწმდეს ბუნებრივ პირობებში მბმ-ის არსებობის ადგილებში რეგულარული გაზომვების საფუძველზე. ეს ითხოვს საკმაოდ ხანგრძლივი ექსპედიციური სამუშაოების ორგანიზებას 1-2 თვის განმავლობაში.
- მნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის ღრუბელთა კამერების ექსპერიმენტული კომპლექსის ბაზაზე შესაძლებელია მბმ-ის ხელოვნურად შექმნის ერთობლივი ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარება თეორიული და სავალე კვლევების შედეგების გათვალისწინებით.

შესრულებული პროექტის წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილი კვლევის შედეგები შესულია სამეცნიერო სტატიაში, რომელიც გამოქვეყნდა ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომათა კრებულში “კონფერენციის მასალები, მიძღვნილი პროფესორ ლევან მარუაშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი” [10].

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. გამომცემლობა თსუ, თბილისი, 1941, 356 გვ.
2. უკლება დ. საბაშმინდის საყინულე. საქართველოს ბუნება, № 6, 1963.
3. მარუაშვილი ლ. კავკასიის ფიზიკური გეოგრაფია. ნაწილი 3, მეცნიერება, თბილისი, 1986, 176 გვ.
4. წიქარიშვილი კ., ბოლაშვილი ნ., ჯანელიძე ზ., ყარალაშვილი თ., ქუთათელაძე ლ. საქართველოს თოვლიან-ყინულიანი მდვიმეები და ბუნებრივი საყინულეები. მეცნიერება და ტექნოლოგიები, 7-9, 2010, 28-34 გვ.
5. ხარაძე კ. ანთროპოგენური ზემოქმედება და ბუნებრივი საყინულეების დაცვა. საქართველოს გეოგრაფიის აქტუალური პრობლემები. მცნიერება, თბილისი, 2001, 163-170 გვ.
6. Тавартиладзе К.А., Кузенков А.Ф. Феноменологическая модель образования льда и ущельях Кавказа летний период. Сообщения АН ГССР, 130, 3, 1988, с.545-548.
7. Матвеев Л.Т. Основы общей метеорологии. Л., 1965, 876 с.
8. Хргиан А.Х. Физика атмосферы. Том 1, Л., 1978, 248 с.
9. ბეგალიშვილი ნ., ცინცაძე თ., ცომაია ვ., ბეგალიშვილი ნ.ნ., ცინცაძე ნ. ადგილობრივ კლიმატზე ჯვრის, ხედონისა და ნენსკრას წყალსაცავთა კასკადის კუმულაციური ზემოქმედების შეფასება. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაარსებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის “21-ე საუკუნის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების ძირითადი პარადიგმები” მასალები, თბილისი, 2012, გვ. 12-18.
10. თავართქილაძე კ., ბეგალიშვილი ნ., ცინცაძე თ., ფიფია გ. “მზის ბუნებრივი მაცივარი” და მისი ხელოვნურად შექმნის შესაძლებლობა. ივ-ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომათა კრებული, ახალი სერია, №4 (83), თბილისი, 2012, გვ.120-125.